

1-16 სტრ., 1

საქართველოს მეფის თეიმურაზის ძის ირაკლის მეფის ცხოვრება

წელსა ჩღვბ ქოს ჟი.

დაჯდა ყვენად მე შასულთან უსეინისა შაჰთამაზ ამა ჟამზე იჯდა მეფედ ქართლში ვახტანგ ლეონის მე და კახეთის მეფედ კოსტანტინე ირაკლის მე და იყუნენ სიყუარულსა და ერთობასა ზედა ურთიერთთასა სცნა ესე შაჰთამაზ და შაუშინდა ამათი ერთობა, და შთაგდო შური მათ შორის და მოსცა კოსტანტინეს მეფობა ქართლისა დამოუმცნო ვინათგან ხარ მაჰმადიანი შენ სარწმუნოდ გრაცხო და მეფეს ვახტანგს ველარ ვენდობიო, განაძე მეფე ვახტანგ და ქართლიც შენ და იჭირეო, და მოსცა განჯა ყარაბაღი და ერევნამდინ მწედ შემოიკრიბნა ამ ქვეყნებიდამ ჯარები, და მამად ყულიხან მოვიდა სეიდაბათში

1-18 სტრ., 2

გავიდა მეფე ვახტანგ შება და ააოტა მამად ყულიხან წავიდა მეოტი და მივიდა ჭარში და შემოიკრიბნა ჭარელნი და განიმრავლა ჯარები. კვალად მოვიდა მეორედ სეიდაბათში გავიდა მეფე ვახტანგ შება იძლია მეფე ვახტანგ და არღარა მოიქცა ქალაქად ან წარვიდა ზემო ქართლს და მამად ყულიხან შემოვიდა ტფილისს და დაჯდა მეფედ ბრძნებითა შაჰთამაზი სათა

წელსა ჩღვგ. ქკს ჟი ა, ოსმალნი ჩამოვიდნენ კახმა ბატონმა მეფემ კოსტანტინემ ტფილისი და ანება ოსმალთა, და ოსმალნი შემოვიდნენ ტფილისში თჯსა ივნისსა და მისცეს მეფობა ქართლისა ბაქარს ძესა ვახტანგ მეფისასა და ვინათგან არა ნებისაებრ და მეფეს მასვე წელსა განივლტო ბაქარ ოსმალთაგან და მივიდა მამასა თაჯსისა თანა წელსა ჩღვდ ქკს ჟი ბ, მეფე ვახტანგ და ბაქარ წარვიდნენ რუსეთს, წელსა ჩღ.კე, ქკს ჟი დ.

მეფე იასე გათათრდა და მისცეს ოსმალთა მეფობა და არა ნებისამებრ მეფე,

1-20 სტრ., 3

წელსა ჩღჟლბ ქკს ჟკ მეფე იასე მოკვდა

წელსა ჩ. ლ ლ გ, ქკს ჟგ ა. კახთს მეფეს მამად ყული ხანს უღალატეს ოსმალთა და მოკლეს სამზირალში და მრავალნი კახნი თავადნი და გლეხნი მოსწყვიდეს ოსმალთა მაგრამ კახეთი ვერ ნებისა ებრ თჯსისა და იპყრეს და მაშინ მოინდვეს ძმა კახთ მეფისა მამად ყულიხანისა თეიმურაზ და მისცეს მეფობა კახეთისა; წელსა ჩ ლ ლ დ. ქკს ჟკ ბ, უსუფ ფაშა მივიდა დიდის ჯარით კახეთ რათა ნებისაებ

თვისა დაეპყრა კახეთი მივიდა და დადგა მაღაროს შემო-
იკრიბნა კახნი მეფემ თეიმურაზმა მივიდა და ღამე თავს
დაესხა და გაიმარჯვა ოსმალთა ზედა მეფემ თეიმურაზმან
და მრავალნი ოსმალნი მოსწყვეტეს გამოაქციეს და
მრავალი მათი საქონელი დარჩათ და მიერიტგან
ვერლარა იკადრეს შესულად კახეთად ქართუელნი
და კახნი ოსმალთ უკუ უდგნენ და განჯას ნადირ-
შასთან ჩავიდნენ; [წელსა ჩღლე ქკს ჟკგ.]
ამ საქმეზე გაერთნენ ლეკნი და ოსმალნი და გამოი
ყუანეს ლეკის ჯარი და აოხრებდნენ ქართლსა
და კახეთსა და სომხით საბარათიანოსა და ასე აღაოხ-
რეს რლ არღარა იპოებოდა შენობა ქართლსა კახეთსა
1-19 სტრ., 4

და სომხით საბარათიანოსა თვნიერ ციხეთა და და სიმაგრეთა
კიდე გალეკდა და მისქცეს პირი ლეკთა თვნიერ
თავადთა და აზნაურთა, და ესე თავადნი შეიხიზნენ
ფშავ ხევსურეთს შინა წელსა ჩღლე ქკს ჟკგ.
გავიდნენ ლეკნი და ქისიყი და არბივეს ძე მეფის
თეიმურაზისა პირველი მაშინ იყო წლისა თვრამეტისა
შემოიყარ სოფლებიდამ ჯარი მემნის მინდორში შე-
მოებნენ და თვთ ეს ყმაწვილი შევიდა პირველათ
ლეკის ჯარში და ყველაზედ უწინ მოკლა კაცი
და აამარცხეს ლეკთა ჯარი და გააყრევინა ტყვე და
საქონელი და მოვიდა მაღაროს გამარჯვებული;
წელსა ჩღლე. ქკს ჟკგ ნადირ შაჰს დემურთაშ
ზედ გაემარჯუა მისის. ით. ივნისის. ოჭ. ტფილისქში
მყოფთ ოსმალთ ნადირ შაჰს წიგნი მოუვიდათ სარას კარ
ზედ გავიმარჯვე თქვენ რასა იქთო ივლისის. ლ. ოთხ-
შაბათს დღეს ოსმალნი გავიდნენ ტფილისიდამა, და-
ოკნდობრის. ვ ნადირშა ტფილის ქალაქს შემოვიდა,
კე. ქალაქიდამ გავიდა და დაიპყრეს ქართლი და-
კახეთი ყიზილბაშთა და მისცა მეფობა ქართლისა
1-20 სტრ., 5

მეფის თეიმურაზის ძმის წულს ალიხანს და თან წაიყუანა
და კახეთის მეფობა მისცა თეიმურაზს, და აქ ტფილისს
ქალაქში ყიზილ-ბაშის ხანები ისხდნენ;
წელსა ჩღლე ქკს ჟკდ. ნადირ შაჰს სეფიხან
სარდალი გამოეგზავნა. ამან მოუწოდა მეფეს თეიმურაზს
კახეთიდამ და ქართუელნიც ყუჭლანი შემოიყარნა
ქართლში გორს ზეიდამ ფხვენისის სოფელში უღალა-
ტა მეფეს თეიმურაზს და და იჭირა და მისთანავე დაიჭირა
ქართუელნი ამილახუარი გივი, არაგვის ერისთავი ბარძიმ, და-
თარხანთ ლუარსაბ; და კახნი დაიჭირა ჩოლაყაშვილი სალთხუ-
ცესი გივი, ქისიყის მოურავი ენდრონიკა შვილი თამაზ, და ჩერ-
ქეზი შვილი მარტყოფის მოურავი ქაიხოსრო, და დაჭერილები სპა-

რსეთში წასხეს და ყანდარს ჩაიყუანეს, იქ მეფეს თეიმურაზს უთხრეს თუ შენი შვილი ერეკლე ჩამოვა შენ განგათავისუფლებთო, მოსწერა მეფემ თეიმურაზმა თავის შვილსა ირაკლისა და დაიბარა ქართუჭლნი და კახნი და ნადირ შაჰს წინ წარადგინეს და ლაპარაკი და უწყო ნადირ შაჰმ ირაკლისა და უბრძანა არ გასთათრდებო ამ ყმაწვილმა დიად შორ დაიჭირა და მძლავრის წინაშე აღიარა და მოახსენა ჩემგან გათათრება არ იქნება ნადირ შაჰმ 1-21 სტრ., 6

უბრძან მე ძალას არ დაგატანო ქართუჭლნი და კახნი ირაკლის არ უსვებდნენ მაგრამ ირაკლიმ დიდად შორს დაიჭი რა მამაჩემი დაჭერილი უნდა იყოსო, ჩემის იქ ჩასვლით ის აუშვანო და მე არუნდა [გჰ] წავიდეო ეს ჩემგან არ იქნებაო;

წელსა ჩ ლ ლ ზ ქ კ ს ჟ კ ე ირაკლი წავიდა ნადირ შაჰსთან თებერველში და ყანდაარს ჩავიდა ნადირშაჰმ, ყანდარის ციხეს ადგა და ყანდარი აიღო მარტის. ივ. ირაკლი რომ ნადირ შასთან ყანდაარ ჩავიდა და მეორეს დღეს მეფე თეიმურაზ და ქართუჭლნი და კახნა ვინც და ჭერილნი ჰყუანდნენ ყოველნი განათავისუფლა და ითხოვა და საქართუჭლოში წამოვიდნენ თითონ ნადირ შაჰმ ინდოეთზედ გაილაშქრა და მე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი თან იახლა ჩავიდა ინდოეთს და ინდოეთის კელმწიფე შემოება სამასის ათასის ვაცითა და ნადირშაჰს გაემარჯჟა და მთელი ინდოეთის სახელმწიფო და იჭირა იქილამ გამობრუნდა და სინდეთს შევიდა და დიდი ომები გარდხდა და სიდეთის სამეფოც დაიჭირა იქილამ გაბრუნდა და ამ ომებში ირაკლი თან ახლდა ყოველგან ნადირ შასა და დიდად მაქჟონა ირაკლიმ თავი თვისი სიმჭნითა და სიკისკისითა თვისითა 1-17 სტრ., 7

და დიდადაც შეუყუარდა გამობრუნდა და წამოვიდა; წელს. ჩ ლ ლ თ ქ კ ს ჟ კ ზ ნადირ შაჰ ყანდაარ მობძანდა, და ბატონის შვილი ირაკლი დაითხოვა შენს ქუჭყანას ეჭირებო ოსმალნი და ლეკნი სცემენო და მიეშველეო და ჩუჭნგან დიდი წყალობა და მე მართებო მათის კ ზ, ყანდარილამ დაითხოვა დაენკენის თვის. ივ. და ღამისა ოთხი საათი იყო გასული რომ ალავერდს კახეთში მოვიდა;

წელსა ჩ ლ ლ თ ქ კ ს ჟ კ ზ მოვიდა ირაკლი კახეთს და ნადირშაჰცა მოვიდა ჯარით ლეკთა ზედა და შეაჭირვა ლეკნი ბრძოლითა და ქართუჭლნიცა თხოვნითა სუსათისთა და განდგნენ ნადირ შაჰისაგან ვიეთნიმე ქართუჭლნი და მოიყუანეს ლეკის ჯა-

რი და ოსმალისა და აოხრებდნენ და სტყუწვნნი
დნენ ერთმანეთსა და თამარ დედოფალი წავიდა და ღი -
სტანში ნადირ შაჰისთან და აცნობა ქრმისა და შვილისა
ერთგულობა ხოლო იგი განძვინებულყო ქართლსა
1-19 სტრ., 8

და კახეთსა ზა და გნიზრაზუდა აყრასა ქართლ კახეთისასა
გარნა მისვლასა თამარ დედოფლისასა მოლმოზიერდა და პატივსცა
დედებრ და ალუ სრულა ყოველი თხოვილი და წარმოა-
ვლინა ნიჭითა და ტფილისის მჯდომი ხანი ნადირ შაჰსი
ბრძოდა მარადის ქართველთა უკუმდგართა და აოჯრებდქ-
ნენ მარადის ქართლსა ორნივ მხარენი და ასე ააოხრეს
ქართლი რომ მთებსა და სიმაგრებს გარდა შენობა
აღარსად იყო და შემდგომად მივიდნენ ყიზილბაშნი
შემოადგნენ აწერის ჳევსა და შემუსრეს და გამოი
ყუანეს ქსნის ერისთვს შანშეს ცოლ შვილქნი
და ძმებისა მისისა ხოლო შანშე ივლტოდა ახალ ციხეს
სთხოვეს ყიზილბაშთა შანშე და მოსცეს ოსმალთა დაჭერი-
ლი, და შეიპყრეს ძმაცა შანშესი იესე და წარგზავნეს
ხორასანს და დაიპყრა ქსნის ჳევი და მამული შანშესი
გივმა ამილახვარმა და მოკლეს არაგვის ერისთავი ბეჟან
ყმათა თვსთა და გამოაძვს სახლის კაცნიცა მისნი და დაიწ-
ყო გივმან ამილახვარმან და პყრობადცა არაგვის სეერის-
თოსა და მოიცა ძალი ოსმალთაგან და განუდგა ყიზილ-
ბაშთა ამისმა მცნობმა ნადირშამ მოსცა არაგვის
1-22 სტრ., 9

სეერისთო მეფეს თეიმურაზს და მოუმცნო ბრძოლა და კირ-
თება გივის ამილახვრისა ხოლო გივს აქუნდა ქსნის ჳევსა
შინა გამაგრებულნი ციხენი და ჳყვანდა ბიძაშვილი თვსი
რევაზ ამ რევაზს ეზრაზნენ მეფე თეიმურაზ და ირაკლი
და რევაზმა მოსცა ციხენი ქსნისახევისანი და დაიპყრეს
ქსანიცა მეფემ თეიმურაზმა და ირაკლიმ და მრავალი
ბრძოლა და ომები გარდაიხდეს და ვიეთთამე ზემო
ქართუწლთა მიუწოდეს ძესა მეფის თეიმურაზისასა ირა-
კლის ესე წარვიდა და წარიყუანა სამასი კაცი ქართუწ-
ლი და სამასი ლეკი და შემოეყრნენ რამდენიმე რამდენი-
მე თავადნი ზემო ქართუწლნი ირაკლის ძესა მეფის თეი-
მურაზისასა მივიდნენ და დადგნენ ქცხინვალს ზემოდამ
აზო წმინდას ესე სცნა გივმან ამილახვარმან სურამს
მდგომმან შემოიყარა ოსმალისა და ლეკის ჳარნი და ვიეთ-
ნიმე ქართუწლნი ვიდრე ხუთი ათასამდე მოვიდნენ
ღამე და დილას ბინდზედ და ესხნენ ირაკლის ძესა მეფისასა
ეკუწთა ირაკლი ძლიერად და ფიცხელი ომი მოუხდათ
მოსცა ღთ მან ძლევა თვსი ირაკლის ძესა მეფისასა და გაე-
მარჯუა ირაკლის შემდგომად ძე მეფისა ირაკლი კახეთს წავი-
და და მეფე თეიმურაზ მივიდა ზემო ქართლში და ერედვს

და დგა ამ ჟამზე და ღისტანში ძველი ყაენის შვილი
იყო ნადირ შაჰსაგან ლტოლვილი იმას დაღისტნელი
1-22 სტრ., 10

ლევები გამოუმძღვარეს და ხონთქართან გაისტუმრეს იმათ
წამოიყუანეს და ქსანზე გივი ამილახუარი ეგულეზოდან
და იქ მოვიდნენ მეფის ძემ ირაკლიმ კახეთს ამ ყაენის შვი-
ლის გამოსულა რომ შეიტყო მაშინვე გამოუდგა და მოე-
წივა ქსანზე ყანჩათს და ყეენის შვილი დაიჭირა
და წაიყუანა ერედვს თავისმას მეფე თეიმურაზს მიჰგვარა-
რა მეფემ თეიმურაზმა მაშინვე გაისტუმრა თავისი
შვილი ირაკლი და ყაენის შვილი თან გაატანა
მაშინ ნადირმა ოსმალთ მოსულს ბრძოლა და მიეს-
მა შირვანი უკუდგაო და ყაენის შვილი მოიყუანეს
და გახემწიფესო მაშინ თავისი შვილი ნასულა მირზა
დიდის ჯარით გამოუსივა მტკვრის პირზედ რომ
მივიდა შირვანში გასასულელადჱ იქ მივიდა ძე
მეფის თეიმურაზისა ირაკლი და ყაენის შვილი
დაჭერილი მიჰგვარა და დიდად დაუმაძლა და-
ასე ესე ყოველი ანბავი მისწერა ნასულა მირზამ
თავის მამას ნადირშაჰს იგიცა წამოსულიყო მუსუ-
ლიდამ და გზაზე ეს ანბავი მიუიდა და დიდად
იამა და მოსწერა წიგნი მადლობისა მეფეს თეი-
მურაზს და მოუბოჱძა ათი ათასი ოქრო და მოჱჱუ-
მცნო ტფილის მჯდომს ხანს ყილიჯლი ალიხანს
მეფის თეიმურაზისა თვს იხტიერობა მიგვიციაო
1-22 სტრ., 11

და ყოველს საქმეს მაგას უნდა ჰკითხავდეთ თითონ
და ბრუნდა და ყარს შევიდა ნასულა მირზამაც მოსცა
მრავალი ნიჭი ირაკლისა და გამოისტუმრა ამ სიტყ-
ვითა შენ საჩქაროდ წადი შენ ქუჭყანას მიეშუჭლეო
და ამისი მაგიერი წყალობა ჩვენგან მალე დაგემართებაო;
წელსა ჩლმდ ქ კს ჟ ლ ბ წარმოავლინა ხონთქა
რმან უსუფ ფაშა სპითა დიდითა და წარმოატანა
ხაზინა რათა წარგზავნოს იგი დაღისტანს შინა
და მით გამოიყუანეთ დაღისტნის ჯარი ამათ მიერთო
ამილახუარი გივი და მოვიდნენ და დადგნენ რუის,
ესე სცნა ტფილის მჯდომმან ხანმან ალიხანმა
ამან მოუწოდა მეფეს თეიმურაზს კახეთის სპითა
და იგიცა შემო ეყარა შემო იკრიბნა ხანმან ქარ-
თუჭლნიცა მივიდა და დადგა გორს; დილას მოვიდნენ
ოსმალნი თედო წმინდას და გავიდნენ გორიდან ყიზილბაშ ქართ-
უჭლნი და ეკუჭთნენ ძლიერად იძლივნენ ყიზილბაშ ქართუ-
ჭლნი ოსმალთაგან, გამოაქციეს და მოჰყუნენ გორის გალავნა-
მდინ და მრავალი მოსწყუიდეს ყიზილბაშ ქართუჭლნი ოსმა-
ლთა, მივიდნენ და დადგნენ რუის მაშინ მოიყუანეს დაღი-

სტნის ბელადი მალაჩი და მიაბარეს დალისტანში გასაგზავნი ხაზინა მალაჩი იყო იმჟამად და ლისტნის პირუჭლი ბელადი, და ყოველნი დალისტნელნი მორჩილ-იყუნენ მისა ასე 1-22 სტრ., 12

წარუძღვანეს ორი ათასის ლევით და წარატანეს ორი ათასი ოსმალი და გაისტუმრეს და ლისტანში ესე მიუწერა ხანმა ძესა მეფის თეიმურაზისასა ირაკლის და აცნობა ყოველი ყოფილი იგი; წარმოემართა მწრაფლად და შემოიკრიბნა რაოდენიმე ჰსპანი კახეთიდან და ორასნი ყიზილბაშნიცა მიერთუწნენ ტფილისიდან მივიდა და შეუკრა არაგვის პირი დილას მოვიდნენ ოსმალ ლეკნი დადაიწყეს გამოსულა არაგვსა შინა, მაშინ ეკუჭთა ირაკლი ძე მეფისა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და შეკრეს სანგარი ლეკთა გაღმა არაგვის ფონის პირსა დადაიწყეს მუნით ძლიერად ცემა თოფთა, და დარჩა ძე მეფისა ირაკლი არაგვის გამოღმა რამეთუ არაგვის მდინარე მაშინ დიდად გადიდებულიყო და უფონოდ არ გაისვლებოდ და გაგრძელდა თოფთა ცემა იმიერ და ამიერ, მაშინ შეუხდა ირაკლი ძე მეფისა არაგვისა ფონსა და განვლო იგი და გაჰყუნენ სპანიცა თჳსნი და იქმნა ბრძოლა ძლიერი რომელ ოსმალ ლეკნი ოთხ ზომად მეტნი იყუნენ შემდგომად მიუხდა ირაკლი დალისტნის ბელადს მალაჩის და თვთ მოკლა და სიკუდილისა მისსა იძლიენენ ოსმალ ლეკნი დამიჰყუნენ ესენიცა ვიდრე ქსნის გაღმა ოკმამდე და მრავალი მოკლეს და დაიჭირეს, და მივიდნენ ეს ლეკნი და ოსმალნი და მარცხებულნი რუის უსუფ ფაშისათანა 1-21 სტრ., 13

თანა და ირაკლიცა მივიდა გორს მამისა თჳსისა თანა გარნა მას ღამესავე აიყარა უსუფ ფაშა ვითარცა მეოტი და წარვიდა; და მეფე თეიმურაზ და ყიზილბაშნი ვერღარა ეწივნენ, ესე ყოველი ყოფილი მიუწერა ხანმან ნადირ შაჰს, და მანცა დიდად გაიხარა და წარმოავლინ ცხენი ოქროს აკაზმულობითა და ჳმალი მძიმედ მოჭედილი და მოუბოძა მეფობა კახეთისა ირაკლის და ქართლსა მეფობა ტეიმურაზს.

წელსა. ჩ ღ მდ ქ კს ჟლბ. ნადირ შაჰი ყარსიდან გამობრუნდა სცნა მეფემ თეიმურაზმა და წინ მიეგება აზოცს რომელ არა ყაიგული იქიდან წამობძანდა მოვიდა ბორჩალოს პირდაპირ სომხითის მელიქის სოფელს გოგთაფას და იქ დადგა რამდენსამე ხანსა და აქ მოვიდა დედოფალ იცა თამარ და ირაკლი მეფეცა და მან პატივით მიიღო და ევედრნენ მეფე თეიმურაზ და მეფა ირაკლი და დედოფალი თამარ დასთხოვეს ერის თავი შანშე და ძმის წულნი მისნი დამან აღუთქჳა და მოსცა და მისწერა ხორასანს წიგნი მათის განთავისუფლებისა და მოიყუანეს რამდენსამე ხანს უკან, და მიუბოძეს ქსნის ერისთობა შანშეს.

წელსა, ჩ. ღ მე, ქ კს ჟ ლ გ. ამილ ახჟარმა სრამის
ციხე გამგრა შევიდა და დადგა თვთონ გივი; მივიდა
მეფე თეიმურაზ და მეფე ირაკლი ყაენის ბრძანებით
1-21 სტრ., 14

და ერთი ყიზილ ბაშის ხანი ყიზილბაშის ჯარით შემოადგნენ
და რამდენსამე თჳს უკან გამოიყუანეს ციხიდან და ჭე-
რილი და ნადირშაჳს გაუგზავნეს.

წელსა, ჩ. ღ მზ. ქ კს ჟ ლ ე. ნადირშამ არბაბი შემოა
წერა ქჳწყნებსა და ამავე წელს ნადირშას უღალატეს ყიზი-
ლბაშთა და მოკლეს და ძმის წული მისი ადილაშა გახელმწიფდა
და მასთან წავიდა მეფე თეიმურაზ და ქართლი მიაზარა
ძესა თვსსა ირაკლის და დავედრა საქმისა კითხჳა აბდულა
ბეგისაცა, აბდულაბეგმა გადაბირნა რაოდენნიმე ქართ-
ველნი და უკუდგა ირაკლის მეფესა მოიყუანა ყიზილბაშის
ხან საბახტიერი ჯარით ამას მოჰყუნენ განჯა ყარაბაღის
ხანები და ავრანის აზატხან ყაზახი ბორჩალო შამშადილი
და საქართუწლოს ელები,, და მოვიდნენ ტფილის, გავიდა
მეფე ირაკლი მცირითა ჯარითა, და ტფილისის მოქალა-
ქენიცა მტკიცედ დგნენ ერთგულობასა ზედა მეფის ირაკ-
ლისასა ეკჳმთა ფიცხელად მოსცა ღ თნ ძლევა მეფეს
ირაკლის და გაემარჯვა წავიდა აბდულაბეგ მეოტი და-
შევიდა სამშვილდის ციხესა შინა და გამაგრა.

წელსა, ჩ. ღ. მ. ზ. ქ კს ჟ ლ ვ. გარდა იბირა ტფი-
ლისის ციხის მეციხოვნენი აბდულა ბეგმა და უკუ-
უდგნენ მეფეს ირაკლის და დაიწყეს თოფ ზარბაზნის
1-20 სტრ., 15

სროლა მოადგა მეფე ირაკლი ქართლისა და ცხეთის ჯარითა
და უმეტეს ტფილის მოქალაქენი ბრძოდნენ ციხესა და მტკი-
ცედ დგნენ ერთ გულებასა ზედა მეფის ირაკლისასა და აბ-
დულაბეგმაც შემოაშჳწლა ტფილისის ციხეში ხუთასი
ლეკი და იყო დღე ყოველი ბრძოლა, ამ ჟამზედ მოვ-
იდა და ლისტნის ბელადი ოჯახს დიდის ჯარით და ავჳალა-
ები და რბია ტყჳწ და საქონელი წაიღო მეფემ ირა-
კლიმ რა ეს სცნა რაც ჯარები ჰყუანდა აქ ტფილისის
ციხის საბრძოლველად დაუტევა და თვთონ ორასის
კაცის მეტი არ წაიყუანა სატიოზედ ნავით მტკუარ
გავიდა და ყოჯახს გამოუდგა და მდევრულად ჯარი
შემოიყარა ქისიყისა და კახეთისა ნაპირის სოფლებისა, გადა-
ასწრა ქისიყის ქჳწვით შირაქის მინდორში შეება
ყოჯახს და ფიცხელი ომი მოუხდათ მოსცა ღ თნძან
ძელევა მეფეს ირაკლის და გაემარჯუა და მრავა-
ლი ლეკი მოკლეს და ტყჳწ და საქონელი და-
ყრევინა მოვიდა მეფე ირაკლი და იქავ შირაქის
თავში დედოფლის წყაროზედ ჩამოხდა ყოჯახ და მარ-

ცხებული წავიდა გადანარჩომის ჯართა ამ დამარცხებულს ყოჯახს დაღისტნიდამ მომავალ ლეკისჯარი 1-20 სტრ., 16

შემოყარათ წინა და მთ თავისი ანბავი უთხრეს იმათ უთხრეს ტყუზსა დასაქონელში ჩჷწნც წილი დაგვიდევითო და სანამდინ ისინი ქისიყში შევიდო დნენო მანამდინ მოვეწევითო შეითქუნენ ამ სიტყუაზე და სამი ათასამდინ კაცი გამოუდგნენ უკან იმ ღამეს იარეს და მეორეს დილას რომ გათენდა დედოფლის წყაროზედ მოვიდნენ და თავს დაესხნენ მეფეს ირაკლის, პირჷწლად მეფე ირაკლი შეჯდა ცხენსა და თვთონ ყველაზე უწინ მოკლა კაცი შეუტივეს და ძალიან დამარცხეს ლეკის ჯარი და მრავალა კაცი მოკლეს ჩამოვიდა აქ ტფილის ციხე აილო და თავისი მეციხოვნენი შეაყენა შემდგომად მივიდა სამშვილდეს და სამ შვილდის ციხე აილო

წელსა. ჩ ღ მთ. ქ კს ჯლ ზ. მეფე თეიმურაზ ერანიდამ მოვიდა ერანში იბრეიმ შაჰში მოკლეს ერანი აირივა და ერთმანეთს რბევა ტყუზვნა და ოხრება და უწყეს, დანადირ შაჰს მკვლეელი მამად ხან მოვიდა ერევანს რბევა და აოხრება და უწყო ერევნელემა მეფეს თეიმურაზს დ ამეფეს ირაკლის წიგნი მოსწერეს ერანში მეპატრონე აღარავინ არისო და ეს მამადხან ამ ქუწყანას 1-22 სტრ., 17

აოხრებსო მოგჷწმჷწლენით ამას მოგვარჩინეთო და თქუნ გემსახურებითო, მეფე თეიმურაზ და მეფე ირაკლი ორნივ ჯარებით წავიდნენ ერევნის მისაშველებლად მეფე ირაკლი წინ წავიდა ხუთასის კაცითა ეს რომ მამადხანმა შეიტყო თავისის სრულის ჯართით წინ მოეგება და მეფეს ირაკლის შემოება მოსცა ლ თნ ძლევა მეფეს ირაკლის და გაემარჯჷა გაიქცა მამად ხან და ყარაბაღში წავიდა ხორ გვირაბის ციხე გამაგრებული ჰქონდა მამად ხანსა და თავისი ცოლ შვილი იმაში ჰყუანდა მივიდა მეფე ირაკლი და შემოადგა ის ციხე აილო მამად ხანის ცოლ შვილიც გამოიყუანა და იმისი ხაზინაც წამოილო მოვიდა ერევნის ხანი და ერევნელემა მეფეს თეიმურაზს და მეფეს ირაკლისთან შემოჰფიცეს და სდვეს ხარკი და დასვეს თავის კაცი [---ჱ] ერევანში და წამოვიდნენ სანამდინ ეს მეფენი ერევნიდამ წამოვიდოდნენ მანამდინ ყარაბაღის ხანი ფანა განჯის ხანი შავერდიხან და ნუხის ხანი აჯი ჩალაბი შეკრბნენ განჯა ყარაბაღისა და შაქ შირვანის ჯარებით და მოვიდნენ ყაზახში აღსთაფაზე ესენი რომ მოვიდნენ ყაზახში, იმ დროს მეფენიც ერევნიდამ ყაზახში გამოვიდნენ, ამ შეყრილმა ხანება ომი ველარ გაუბედეს მირიდეს და სიმგრეში დადგნენ დადა უწყეს მეფეს თეიმურაზს და მეფეს ირაკლის ლაპარაკი მშვიდ-

ბისა ზავ-ყვეს და გამობრუნდნენ და მოვიდნენ მეფენი
1-21 სტრ., 18

ტფილის გამარჯვებულნი და მიერთგან დღის იყო
ერევანი მოხარკეობასა ქუეშე ქართუჭლთასა ვიდრე
მოსვლამდე საქარუჭლოსა შინა ყაჯარი აღამამად
ხანისასა.

წელსა. ჩ ღ ნ. ქკ~ს ჟ ლ ზ მოვიდა ყარაბაღის ხანი
ფანა და განჯას შემოადგა მოსწერა წიგნი განჯის ხანმა
და განჯელებმა და ითხოვეს შეწევნა მეფისა თეიმურა-
ზისა და მეფისა ირაკლისაგან, შემოიყარეს ჯარები მეფე-
ებმა და წავიდნენ ესენი ყაზახში ჩავიდნენ ფანა
ხანმან ეს რომ შეიტყო განჯას შემოეცალა და თავის
ქვეყანას ყარაბაღში წავიდა და ჯარები გაიმრავლა
ეს მეფენი რომ განჯას ჩავიდნენ გაჯის ხანი შავერდი
ხან შავერდი ხან თავისის ჯარებით მეფეებს წინ შემოე
ყარნენ და წავიდნენ ყარაბაღში ფანხანც დიდის
დიდის ჯარებით წინ მიეგება საბრძოლათ და ერთ-
მანეთის მოშრებით და დგნენ მეფე ირაკლი ორასის
კაციტ ფან ხანის ჯარების გასასინჯავათ და დასახედავათ
წავიდა იმთაც შეუტყეს და მთლად ერთიანად ჯარებმა
შემოუტივეს მეფემან ირაკლიმ ამ ამბის საცნობელად
ერთი კაცი გაუგზავნა მეფეს თეიმურაზთან და ეს ან
ბავი აცნობა და თვთ მეფე ირაკლი ამ ცოტას კაციტ
1-23 სტრ., 19

დაუდგა და ომი შეექნათ დიდ ხანს იბრძოლეს და გაუგრძე-
ლდათ ომი, და მეფე თეიმურაზიც ჯარებით წავიდა მისაშველებ-
ლად, მაგრამ სანამდის მეფე თეიმურაზ მივიდოდა, მოსცა ლ~თნ
ძლევა მეფეს ირაკლისა და გაემარჯვათ ამ და მარცხებულთ ეს მიშვე
ლებულნი მეფის თეიმურაზის ჯარის კაცნიც მიესწრნენ და
მრავალი მოკლეს და დაიჭირეს ფანა ხანის ჯარის კაცნი: მე-
ორეს დღეს ორთავ მეფეთ გაუშვეს ჩაფაული და არეხს გა
ღმა მთელი ყარაბაღი დაარბივეს და მრავალი იშოვნეს
და დაჰყვეს თუჭ ორი და მოინდვეს მთელნი ყარაბაღელნი და-
დაჰსდვეს ხარკი განჯა ყარაბაღსა, და ყარადაღსა და მოსცეს ამი-
სი პირიცა სადაც ჯარი გინდოდეს ჯარიც მოგცეთო წამოვი
დნენ და მოვიდნენ ტფილის გამარჯვებულნი.

წაჰავე წელსა შეკრბნენ დაღისტნის ჯარნი მოვიდნ-
ენ მოპარვის გვარად ვითარცა არს ჩვეულება მათი და
დარბივეს ელები და მრავალი იშოვნეს ტყუჭ და საქონე
ლი სცნეს მეფეთა გამოუდგნენ, და მოეწივნენ დამღის,
სადაცა ერთვს იორი ალაზანსა, ალაზნის პირზე შეებნენ მას
ცა ლ~თნ ძლევა მეფეთა და გაემარჯვა და მრავალი კაცი მოკ-
ლეს ალაზანს გამოღმა შეჰყუნენ ალაზანში და მრავალი
ლეკი მოიშთო გაჰყუნენ გაღმა და გადანარჩომმა ლეკის ჯა-
რმა მიმართეს ერთს დამწვარს ფლატიანს გორაებს სიმა

გრის იმედებულთა შვეიდნენ ამ გორებში მოსქდა ეს ფლა-
ტიანი და მწვარი გორა და ასე და ნთქა ეს გადა. ნარჩომი ლეკის
1-22 სტრ., 20

ჯარი რომ მოამბე აღარ წასულა წამო ვიდნენ მეფე
ნი გამარჯვებულნი დამოვიდნენ ტფილისს და მიერთგან ვერ
ღარა იკადრეს ლეკთა ჯარად გამოსვლა და ქურდულად კი არ
დაჰსცხრნენ
წელსა ჩ ღ ნ ა ქ კს. ჟ ლ თ. წარვიდნენ ორნივე მეფენი ჭარისა და
შაქის და საპყრობად ჯარები შემოიყარეს, იორზე ჩავი-
დნენ იქ მოერთუჭნენ განჯა ყარაბაღის ხანები ჯარებით
ჭარი დაგდეს და ჭარს ქუჭვით აგრიზე გავიდნენ მოვიდა ნუხის
ხანი აჯიჩალაბი იდუმალ, მეფეთ-თან მყოფს განჯის ხანებს ეძრახა
და სხვას ხანებსა და გარდაბირა ეს ხანები მეორეს დღეს შემოება
აჯიჩალაბი და მეფეთაცა დასტები დაწყუჭს და მივიდნენ ორი და სამი
დასტა დამარცხეს აჯიჩალაბისა ქართუჭლთა და კახთა და ორი სან-
გარი დაგდებინეს მაშინ აჯიჩალაბი მოუხდა ყიზილბაშთ ხანების
დასტებს და მოსვლისავე მათისა გამოიქცნენ ეს ხანები თავიანთ პირობი-
საებრ და წავიდნენ თავიანთ მხრისაკენ მშვიდობიანთა რა ესენი გაქცე-
ულნი ნახეს საქართუჭლოს ურეგულო ჯარმა ესენიც აირივნენ
და გამოიქცნენ მრავალს ეცადნენ მეფენი სიმკნითა თვსითა მაგრამ ველარ შეი-
მგრეს და მრავალი მოსწყვიდეს ქართუჭლნი და კახნი ბრძოლასა
შინა და უმრავლესნი მოიშვთნენ ალაზანსა შინა დამოვიდნენ
ორნივე მეფენი ტფილის და მარცხებულნი ესე მოხდა ფებერვალსა
შინა.

ამავ წელსა ივნისში მოვიდა მუსახან ძალითა აზატ ხანისათა და დაუწყო
ერევანს

1-20 სტრ., 21

რბევა და აოხრება რომ ამ აზატ ხანს ეპყრა
მიდია რომელ არს ადირ ბეჟანი დ[ა]ი წოდებად
აცა მპყრობელად სპარსეთისად და ერევნის
ხანმა და ერევნელებმა მოსწერეს მეფესა ირკ
ლის ვინათგან გაძლევთ ხარკს თანამდებო
ბა გაქვს ჩვენის მოვლისა და მოშველებისაო
შემოიყარა ჯარი მეფემან ირკლიმა ივნისში
და მიეშველა ერევანს ამისი მისვლა რომ
სცნა მუსი ხანმა ერევნის ციხეს რომ ადგა
მაშინვე შემოეცალა ერევნის ციხე[-]ც -
მირიდა და მივიდა მეფე ირაკლი ერევანში
დიდად შეჭირვებულნი იყვნენ ერევნელები
უსაზრდელობითა შეუტანინა საზრდო თვით
ონ გაბრუნდა ჯარითა და ქანაქირსა და ყი
რხ ბულახზე კაის ჰავაში დადგა რომელი
ც შორ არის ერევნისა ვერსათ თვრამ
ეტითა მუსა ხან რომ ერევანს შემოეცალა
მაშინვე აზატ ხანს წიგნი მისწერა მიდიაში

და ეს ანბავი და მეფის ირაკლის ერევანს
მისვლა აცნობა წამოვიდა აზატხან
1-20 სტრ., 22

აზატ ხან ყიზილბაშისა და ვლნის დიდის
ჯარებითა ასე რომ თვრამეტი ათასი კაცი ჰყვა
ნდა სხვას თოფიანს ჯარს გარდა ჰქონდა თო
თხმეტი ზარბაზანი და ორასი ზანბურაკი
დუგრძნეულად მოვიდა და გარნი ჩიხედ ჩა
მოხდა რომ ეს გარნი ჩაი შორავს ქანაქირსა
და ყირხ ბულაღს ოცითა ვერსითა სარა
მოზე კაცი მოუვიდა მეფეს ირაკლეს აზატ
ხან დიდის ჯარით მოვიდა და გარნის ჩაი
ზედ ჩამოხვდო მოუწოდა მეფემან ირაკლიმ
ქართველთა და კახთა დარჩევა ქნათ ქართვ
ელთა და კახთა გამოცლა ამ ჯობინეს უფ
როსი ერთმა გარნა მეფ [არგულემ] მეფემ ირეკლემ არ
დაჰყვა ამათს რჩევასა და თქვა მე აზატ ხანის
შეუბმელი არ დავდგებო ამდამ რომ გავიქცეთ
ხვალ გზაზე მოგვეწევიან და უნამუსოთ სიკვდილის
ნამუსიანათ სიკვდილი სჯობია ხომ სიკვდილის
შვილნი ვართო ორის დღის სიცოცხლისათვის
ჩვენს გვარსა და სახელსა ნუ მოვაკეივნებითო და
[..] ამაზედ რაოდენი მე პირველნი თავადნი და
1-19 სტრ., 23

ჩინებულნი გვამნი ეთანხმავნენ მეფეს ირაკლის და
დაასკვნეს ომი მეორეს დილას აღრიცხა მეფემან ირაკ
ლი მხედრობა თვისი და ჰყვა დიად მცირე მდრომ იყო
რიცხვა მხედრობისა მისისა ორი ათასი კაცი
ამას რიცხვ[=]ასა შინა იყო ხუთასი თათარი კაცი
ავათ ყოფილი და ბარგის კაცი დაშთნენ ლაგირათა
[შჩ] შინა და წარვიდა ამ ორი ათასის კაცით აზა
ტ ხანის შესაბმელად და ცოტა რომ წარვლეს
იქიდამაცა გამოჩნდა აზატ ხანის დასტები მა
შინ გარდახდა მეფე ირაკლი ცხენიდამ დემხო
მიწასა და ღმერთს შევედრა აღდგა მობრუნდა
უთხრა ქართველთა და კახთა ჩემნო ძმანო
და შვილნო თქვენ ჩემის გულისათვის იხო
ცებითო ღმერთთან თქვენი დიდი მოვალე ვარო
და დღეს რაც მე გითხრათ [გა] ის და მი ჯერეთო და
თქვენს სისხლს მე მივინდობო მაშინ ყოველთა
ერთობით ნება სცეს და მოახსენეს ჩვენი სისხლი
შენთვისმე შემოგვიწირავსო და რაცა გვიბძანებ
კიდევ აღვას რულებთო მაშინ უბძანა სანა
1-18 სტრ., 24

მე ცხენზედ არ შევჯდეო მანამდინ ნურა კაცი

ცხენზე ნუ შეჯდებითა და სანამდინ ჩემი თოფი არ გავარდესო მანამდინ თოფს ნურავინ ესვრითო მაშინ ქართველთა და კახთა ყოველთა ამისი ესრეთ ყოფა აღუთქვეს და ხუთასი თათარნი რომე ლნიცა ამათთან იყვნენ ისინი შესხდნენ ცხენსა და განემორდნენ ქართველთა და კახთა და გავიდნენ ცალკე ერნი დასტად გარნა დადგა ერევნელი თათარი ერთი მეფის ირეკლესთან აირუმლუს სულთანა სახელათ ალავერდი მაშინ თაყვანი სცა მეფემან ირაკლიმ ჯვარსა თვით და თაყვანნა სპანიც თვისნი ყოველნი მაშინ მოვიდა თათარნი იგი სულთან ალავერდი დარქვა ჯვარსა მეტყელმან ესრეთ თუ შენი შეძლება რამ არისო დღეს გამოჩნდება და დადგრა მეფის ირაკლისთან მაშინ წარუძღვა მეფე ირკლიმ ამ ათას ხუთას კაცს და ქვევითებული წყნარათ და სადაც უფრო დიდი დასტა ჩნდა აზატ ხანისა [ᄃᄃᄃ-ᄃᄃᄃᄃᄃᄃ] 1-18 სტრ., 25

იმას მიმართა მოვიდა აზატ ხან თავისი ჯარები გარს შემოახვია ასე ახლო [ᄃᄃᄃᄃᄃᄃ] მოვიდნენ ოთხისვე კუთხიდან რომ ჩვენს ჯარსა დ[ა]ი იმათ ჯარს შუა შუბი აღარ იხმარებოდა მაშინ მოახსენა ხან[.]მან ირკლის ცოცხალს დავიჭერ და მოგართმეო მანც ნება სცა და წამოვიდა ცხენ მალედ და [ᄃᄃᄃᄃ] ხმა ჰყო ხანი ირაკლი [.]ანიო რომელ არს სადარის მეფე ირაკლიო მაშინ გაუხდა მეფე ირაკლი მკვირცხლად და შესძახა მე ვარ მეფე ირკლეო და შემახებასვეთან მისცა თოფს ცეცხლი გავარდა მეფის ირკლის თოფი მოხვდა ხანს მას გულსა და გარდმოვარდა ცხენით და დეცა წინა მეფისა ირეკლისა ვისთა ესროლეთ ყოველთავეო და ხმასვე თანა გავარდა ყოველთა ქართველთა და კახთა თოფნი, რა მეფისა ირკლის გან ეს სიმხნე ნახეს ქართველთა და კახთა გამოვიდნენ ესენიცა და ერთიანათ მისცეს ცეცხლი ყოველთა თოფთა თავისთა და რაც ახლო 1-19 სტრ., 26

მოსულნი ყიზილბაშნი დავთან იყვნენ ერთიანათ ჩამოცივდნენ და დეცნენ მაშინ აღჯდა მეფე ირკლი ცხენსა თავისა და აღუზახნა სპარსთაცა თვისთა ამხედრნენ და იკრეს ჳმლებს კელი და შეუტის და მისვლასავე აოტნეს ყიზილ ბაშავლანნი დთანა ჰყვებოდა ყოველგან მას დღესა შინა მეფისა ირკლის არუმუს სულთან ალავერდი რომელმაც ითხოვა სასწაული ჯვარისაგან

და იყო მაჰნედცა და წარვიდა აზატ ხან მეოტი გაემა
რჯვა მეფეს ირკლეს დარჩა მის დღის აზატ ხანი
ს თოთხმეტი წარბაზანი ორასი წანბურაკი თავ
ისის აქლემებით დრო მა მრავალი და ორი ათას
ხ [ჰ] ხუთასი კარავი ტყვესა და საქონელსა რიცხ
ვა არა იყო გარნა [ჰჰჰ] აირუმის სულთანნი ალავ
ერდიმა განკვირვებული იტყოდა და წინაშე ჯვარსა
და საქმე კაცობის ძალისაგან შეუძლებელი იყო
მაგრამ ამისმა ძალმა ჰყო გარნა [ჰჰჰჰ] არა მოიქცა
ეს ოდენი თქვა წამოვიდნენ მუნით მეფენი მოვი
დნენ ტიპლის გამარჯვებული

1-21 სტრ., 27

ჩღნა წელსა ქ კს ჟმ მოსწერა მეფეს თემურასა და
მეფეს ირეკლეს განჯის ხანმა და შუშის ხანმა და ყარა
ბაღის ხანმა და მიწვივეს და აღუთქვეს ნუხის ხანს
აჯი ჩალაბზე შველა მეფეთაც ჯარები შემოჰფიცეს
ერთგულობასა ზედა [ჰჰ] მაგრამ არ დადგნენ ეს ხანები
თავიანთ ფიცზე და ნუხის ხანს აჯი ჩალაბს წიგნებს
წერა დაუწყეს შენ გამოდი ჯარებითაო და შენ რომ მოხვ
ალ ჩვენც შიგვე უღალატებთო ეს ანბავი მეფებმა შეუ
ტყეს და იმათ მიწერილი წიგნებიც ჩაიყარეს ხელში
და მისის მიზეზით ის ზემო ხსენებულნი ხანები დაი
ჭირეს ამათს დაჭერაში და ჯარების აშლასა დაუ
წყობილობაში ნუხის ხანი შივანისა და დაღისტ
ნის ჯარებითა მოვიდა და შემობა დამარცხეს ეს მეფენი
და ქართველნი და კახნი მრავალნი მოისრნეს ბრძო
ლასა შინა მოვიდნენ ტიფლის ლტოლვილნი მარტში
ამავ წელსა მაისში შემოიყარა აჯი ჩალაბი შვილმა
არა ქიმიმ შაქიმირვანი და გამოვიდა განჯას განჯის-
ხანი და ყარაბაღის [ჰ]ხანებიც [ჰჰჰ] შემოეყარნენ განჯა ყა
რაბაღის ჯარებით მოვიდნენ ყაზახ ბორჩაღუ აჰყარეს
მოვიდნენ ბაიდარში დადგნენ და რადგან ქართველნი და კახნი
ახალი დამარცხებულნი იყვნენ დასუსტებულნი მეფე

1-21 სტრ., 28

ირეკლე წარვიდა ჰევის და ჩერქეზის და ოსის ჯარი
გამოყვანა და სანამდინ ირაკლი ხევიდამ გადმოვიდოდა
მანამდინ დაღისტნის ბელადმა ზუბეიდალამ დაღისტნის
ბელადები დაღისტნის ჯარები შემოიყარა მოვიდა
ზემო ქართლში დარბევა დუწყო შემოადგა დავნის
გალავანს აიღო და მრავალი სული დატყვევა მივიდა
და თიღვას შემოადგა ამ ჟამზე მეფე ირკლიც ხევიდა
მ გამოვიდა ჩერქეზის ჯარით დუშეთს და ეს ანბავი
შეიტყო ამ ჩერქეზის ჯარს წარუძღვანა ჯიმშერ
ერის თავი და გივი ამილახვარი და ლეკს ჯარზე გაის
ტუმრა თიღვის მისაშველებლათა თითონ მეფე ირკლიმ

კახეთს ჯარების გამოსაყვანათ ლეკთაც ვეღარ აიღეს შემოეცალნენ თიღვას გაბრუნდნენ და პატარა ლიახვს გამოლმა თარეში გამოუშვეს კარბს რომ მოვიდნენ იმ დროს ეს ჯიმშერ ერისთავი და გივი ამილახვარი შემოეყარნენ ამ ჩერქეზის ჯარით შეუტივეს ლეკის ჯარი დმარცხეს მრავალე ლეკი მოკლეს წამოვიდნენ ქალაქს მეფე თეიმურაზთან და ჩამოვიდნენ და მეფე ირკლიც ჩამოვიდა კახეთის ჯარით და ორნივე მეფენი ქართლისა და კახეთის და ჩერქეზის ჯარით ტიფლიზიდამ გავიდნენ 1-19 სტრ., 29

ესენი რომ სონღალუხში მივიდნენ ზაიდარიდამ აჯი ჩალაბის შვილთა ალა ქიში [ლახხ] და სხვა ხანები ვინც რომ იყვნენ აიყარნენ და უკან გაბრუნდნენ და ყაზახქი მივიდნენ ეს მეფენი რომ გატეხილ ხიდზე მივიდნენ ის ხანები გემი ყაიდამ აიყარნენ გაქცეულსავე დიად საჩქაროთ წავიდნენ შამ შადილში თოუზე მივიდნენ იქ ორ დასტად გაიყარნენ და დემალნენ ქართველთა და კახთა იმათი ასე წასვლა რომ ნახეს ამათც დასტები მოშალეს და ჩაფაულათ ცხენი ჭენებით გამოუდგნენ მეფე თეიმურაზ წყნარად დასტა წავიდა და მეფე ირკლე წინ წავიდა თოუზე რომ მივიდნენ ჩვენი ჯარი ისინი დასტა დაწყობილნი მზირად უდგნენ ამათავ წვრილათ მისულს ჩვენს ჯარს შემოუტივეს და მრავალი კაცი მოკლეს ამაზე მიასწრა მეფე ირაკლი მაცა და ფიცხელი ომი მოუხდათ მოსცა ლ~თ ძლევა მეფესქი ირკლის და გემარჯვა და მრავალი კაცი მოკლეს და დიჭირ ეს ოცდა ათი ვერსი მეტი სდიდა დაბრუნდნენ გამარჯვებულნი მოვიდნენ ტიპლის–